განთავსების ობიექტების არქიტექტურის და დიზაინისგანვითარება საქართველოში

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-60

თამარ ბარნოვი
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, დოქტორანტი

მარინა მეტრეველი
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, პროფესორი
E-mail: metrevelimarina11@gtu.ge

თორნიკე ანთიძე
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, დოქტორანტი

რეზიუმე

წარმოდგენილია ქართული კულტურის გავლენა და ანალიზი განთავსების ობიექტებზე - თუ როგორ აისახა ქართული კულტურა განთავსების ობიექტების არქიტექტურასა და დიზაინზე, ასევე, როგორ მოხდა მათი ინტეგრირება ტურიზმის, როგორც მომსახურების ერთ-ერთ ძირითად ინდუსტრიაში.

კვლევისთვის შერჩეულ იქნა განთავსების სამი ობიექტი. თითოეული მათგანი მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს კულტურისა და ტურისტული ობიექტების ურთიერთკავშირის კუთხით, რაც საინტერესო და უნიკალურ სერვისებს აერთიანებს ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაციისათვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამივე ობიექტი ქართული ტრადიციული არქიტექტურისა და დიზაინის პარალელურად აერთიანებს ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას - ღვინის კულტურას.

ნაშრომის მიზანია განთავსების ობიექტების არქიტექტურასა და დიზაინთან დაკავშირებით ქართული კულტურის გავლენაზე ყურადღების გამახვილება. აღნიშნული ასპექტი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომლებიც ცდილობენ კულტურის ინტეგრაციას ტურიზმსა და სტუმარმასპინძლობაში და განსაკუთრებით, განთავსების ობიექტებსა და მომსახურებაში. ქართული კულტურის, მისი მოტივების, არქიტექტურული სტილისა და ისტორიული ღირსშესანიშნაობების მნიშვნელობის შესწავლით, წარმოდგენილი ნაშრომი ხაზს უსვამს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას ტურისტებისთვის დაუვიწყარი შთაბეჭდილების შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ქართული კულტურა, ტურიზმის ინდუსტრია, ტურისტული ობიექტი, არქიტექტურა, ღვინის კულტურა.

ძირითადი ტექსტი

საკვლევ ობიექტებად შერჩეულ იქნა: შატო მუხრანი, შატო მერე და წინანდლის სამუზეუმო კომპლექსი.

“შატო მუხრანი” წარმოადგენს პირველ ქართულ შატოს, რომელსაც უკავშირდება მეღვინეობის ტრადიციების შენარჩუნება ბაგრატიონთა დინასტიის გამოჩენილ წარმომადგენლს, ივანე მუხრან ბატონს.

შატოს კონცეფციის პრინციპები მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს: საკუთარი ვენახების გაშენება; უნიკალური მიწისქვეშა მარნების გამოყენება; სასახლე; მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა.

შატო მუხრანის კონცეფცია არქიტექტურისა და დიზაინის ჭრილში შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით: შატოში ვხვდებით ტრადიციულ ქართულ არქიტექტურას სახლის სახით, რომელიც ხაზს უსვამს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ასპექტებს; წარმოდგენილია უნიკალური მიწისქვეშა მარნები, რომელიც გულისხმობს, როგორც არქიტექტურულ, ასევე ღვინის კულტურის ფაქტორებს და საინტერესო სანახაობას ქმნის ვიზიტორთათვის; ღვინის ტურები, ვორქშოფები და სემინარები კი ავსებს ვიზუალურ მხარეს და ხაზს უსვამს ქართული კულტურის უნიკალურ მიმდინარეობას ღვინის კულტურის სახით.

„შატო მერე", მდებარეობს კახეთში, თელავის მახლობლად, თბილისიდან 90 კმ-ის დაშორებით, რომელიც წარმოდგენილია ქვით ნაშენი სასახლის სახით, გარშემორტყმულია გალავნით და კომპლექსში ვხვდებით ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ კოშკებსა და ხის აივნებს.

შატო მერეს კომპლექსი მოიცავს, საკუთარ თავში აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან ობიექტს, მათ შორის: სასტუმროს ნომრები (44); სამი განსხვავებული რესტორანი; ორი გარე აუზი; საკონფერენციო დარბაზი; ღვინის მარანი.

ბუნებრივ რესურსებთან (ლოკაციიდან გამომდინარე) შერწყმული ტრადიციული კახური სამზარეულო, დახვეწილი ღვინის კულტურა და სერვისების ფართო სპექტრი უზრუნველყოფს იდილიურ გარემოს ვიზიტორთათვის.

შატო მერეს კონცეფცია არქიტექტურისა და დიზაინის ჭრილში გულისხმობს: ტრადიციული ქართული არქიტექტურა-ციხე-სიმაგრის, გალავნისა და კოშკების სახით, ობიექტს უნიკალურ არქიტექტურულ დატვირთვას მატებს, რაც ადგილობრივი კულტურის უნიკალური ასპექტების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა; ღვინის მარანი და კახური სამზარეულოს ასპექტები კი აერთიანებს, როგორც მარნების კულტურის მნიშვნელოვან ასპექტებს, ასევე რეგიონის სამზარეულოს უნიკალურ მიმართულებებს, რაც ბუნებრივია გამორჩეულ რესურსს წარმოადგენს ვიზიტორთათვის.

წინანდალი, XIX საუკუნის საქართველოს გამორჩეული კულტურული და ინტელექტუალური კერაა, რომელიც დღემდე საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის ობიექტს წარმოადგენს და მასპინძლობს როგორც გამოფენებს, ასევე კონცერტებს, ლიტერატურულ შეკრებებს, დღესასწაულებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს.

წინანდლის კომპლექსში გაერთიანებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი, მათ შორის: მუზეუმი - რომელიც ასახავს რეგიონის (და არამარტო) მდიდარ მემკვიდრეობას; მარანი - სადაც პირველად ჩამოისხა ბოთლში ქართული ღვინო. ენოთეკაში დაცულია 16000-ზე მეტი ბოთლით, ზოგიერთი მათგანი 1814 წლით თარიღდება. 2014 წელს კოლექცია კიდევ უფრო გამდიდრდა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ; სასტუმრო, რომელიც მდებარეობს წინანდლის პარკში, ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მოპირდაპირედ. სასტუმროს ორი პატარა შენობა ასახავს გვიანი შუა საუკუნეების კახეთის არქიტექტურულ სტილს; პარკი - პირველი ტრადიციული ევროპული სტილის პარკი, რომელიც შეიქმნა საქართველოში.

წინანდლის მამული და მისი თანმხლები სასტუმრო წარმოადგენს განუყოფელ ისტორიულ კომპლექსს, რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ბუნებრივია, წინანდლის სამუზეუმო კომპლექსიც, ზემოთ განხილული მაგალითების მსგავსად, მნიშვნელოვან კულტურულ დატვირთვას ატარებს არქიტექტურისა და დიზაინის კუთხით, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს, როგორც ტრადიციულ ქართულ შენობებს, ასევე თანამედროვე სასტუმროს, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ ელემენტებს და ღვინის კულტურის თვალსაჩინო ეგზემპლიარებს, როგორც მარნის, ასევე უშუალოდ ღვინოების სახით.

ნაშრომის ფარგლებში შესრულებული თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავდა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით, ადგილობრივ სასტუმროებში ქართული კულტურის უნიკალური ძეგლების გავლენის შეფასებას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამივე სასტუმროს წარმომადგენლებმა და ტურისტებმა. ზოგადად, ყველა მათგანი აღიარებს სასტუმროების ვიზუალურ დიზაინში ქართული კულტურის

ელემენტების ჩართვის მნიშვნელობას. ისინი ხაზს უსვამენ ქართული ფოლკლორისა და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით შთაგონებული ნამუშევრებისა და სკულპტურების ინტეგრირებას დიზაინში, ადგილობრივი მხატვრების მიერ შექმნილ ნამუშევრებთან ერთად. მათი აზრით, ქართული ნიმუშებისა და მოტივების ჩართვას ნახატებისა და ვიზუალური ელემენტების მეშვეობით, რაც მათ სასტუმროს კულტურული სიმდიდრის განცდას მატებს.

კვლევისთვის აქტუალურ კითხვებზე პასუხები ცხადყოფს, რომ ისინი პრიორიტეტად თვლიან ქართული კულტურული ელემენტების ვიზუალურ დიზაინში ინტეგრირებას. თუმცა, არსებობს მცირე განსხვავება თუ რამდენად აერთიანებენ ისინი ამ ელემენტებს. ამასთანავე, უპირატესობას ანიჭებენ ქართული ფოლკლორისა და ადგილობრივი ხელოვანებით შთაგონებულ ნამუშევრებს, რაც მიუთითებს ქართული კულტურის მხატვრული გამოხატულების წარმოჩენის უფრო ძლიერ ვალდებულებაზე. მეორეს მხრივ, ზოგი მათგანი, უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს ვიზუალურ ელემენტებზე, როგორიც არის ნახატები, რაც პოტენციურად მიზნად ისახავს უფრო დახვეწილ ინტეგრაციას.

სასტუმროს წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ ტურისტების პირდაპირ გამოხმაურებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ობიექტში არსებულ კულტურულ ელემენტებთან. ასევე, ყურადღებას ამახვილებენ სტუმრების მიმოხილვებზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც მოგზაურობისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად თვლიან კულტურულ და ტრადიციულ ელემენტებს. რესპოდენტთა პასუხების ანალიზი იძლევა შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ აერთიანებს სამი განსხვავებული სასტუმრო ქართული კულტურის ელემენტებს მათ ვიზუალურ დიზაინში, ინჟინერიასა და სტუმრების გამოცდილებაში. საერთო ჯამში, აშკარაა, რომ სამივე ობიექტის რესპონდენტები აღიარებენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრაციის მნიშვნელობას მათ ობიექტებში, რათა შექმნან ავთენტური და დაუვიწყარი გამოცდილება ტურისტებისა და სტუმრებისთვის.

ვიზუალური დიზაინის თვალსაზრისით, რესპონდენტები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას ქართული კულტურული მოტივების, მასალებისა და არქიტექტურული სტილის ჩასართავად. ზემოაღნიშნულ ობიექტებში მრავლად არის გამოყენებული ტრადიციული ქართული მოტივები, ნიმუშები და ქსოვილები ინტერიერის დეკორაციებში, რაც ქმნის ატმოსფეროს, რომელიც ასახავს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს. ასევე, წარმოდგენილია ქართული ფოლკლორითა და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით შთაგონებული ნამუშევრები, რომლებიც ასახავს ქართული კულტურის მხატვრულ ასპექტებს. ქართული ნიმუშების, მოტივებისა და ნახატების ჩართვა სასტუმროებს კულტურული სიმდიდრის განცდას მატებს.

მიუხედავად იმისა, რომ უნიკალური ქართული კულტურული ძეგლების გავლენა ობიექტების ინჟინერიასა და ინფრასტრუქტურაზე რესპონდენტებში განსხვავებულია, არქიტექტურულ ელემენტებსა და ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას შორის აშკარა კავშირი არსებობს. ზოგიერთი რესპონდენტი აერთიანებს არქიტექტურულ ელემენტებს, რომლებიც მოგვაგონებს ქართულ ძეგლებს ან შენობის ფასადის ტრადიციულ სამშენებლო ტექნიკას, აჩვენებენ უფრო ძლიერ კავშირს ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასთან ინჟინერიითა და ინფრასტრუქტურით.

სამივე რესპონდენტი გამოხატავს ვალდებულებას კულტურული ელემენტების სერვისში და სტუმრების გამოცდილებაში ინტეგრირებისათვის, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას ქართული სტუმარმასპინძლობისა და კულტურის შესახებ, კულტურული აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზებას და იმის უზრუნველყოფას, რომ თანამშრომლები ფლობენ ცოდნას საქართველოს ისტორიის, ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული ფასეულობების შესახებ. სტუმრები დადებითად პასუხობენ ამ ძალისხმევას, გამოხმაურება ხაზს უსვამს კულტურული ელემენტების გავლენას სტუმრების კმაყოფილებაზე. ტრადიციული ქართული სტილის სასადილო ზონებით უზრუნველყოფილი კულტურული ატმოსფერო, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი არქიტექტურული ელემენტები და კულტურული ელემენტებით შექმნილი საერთო ატმოსფერო აუმჯობესებს სტუმრების კმაყოფილებასა და შთაბეჭდილებას.

საინჟინრო სისტემებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების თავსებადობას ქართულ კულტუ-

რულ მემკვიდრეობასთან სამივე რესპონდენტი ადასტურებს. ენერგოეფექტური პრაქტიკა, თანამედროვე ტექნოლოგიების უწყვეტი ინტეგრაცია არქიტექტურულ დიზაინში და თანამედროვე ინვენტარის შერჩევა, რომელიც ავსებს ზოგად ესთეტიკას და ხაზს უსვამს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ასპექტებს, არის ის მიდგომები, რომელიც გამოიყენება თავსებადობის შესანარჩუნებლად.

ქართული კულტურის ელემენტების გამოყენების ეფექტურობის შესაფასებლად რესპონდენტები ეყრდნობიან სტუმრების გამოხმაურებას, მიმოხილვებს, გამოკითხვებს და შიდა შეფასებებს. სტუმრების კმაყოფილება და კულტურულ ელემენტებთან დაკავშირებული კომენტარები გადამწყვეტ როლს თამაშობს კულტურული ინტეგრაციის წარმატების შეფასებაში.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს ტურისტულ და განსაკუთრებით განთავსების ობიექტების მიერ გაწეულ ძალისხმევას ქართული კულტურული ელემენტების ინტეგრირებისთვის მათ ვიზუალურ დიზაინში, ინჟინერიასა და სტუმრების გამოცდილებაში.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის მნიშვნელობა განთავსების ობიექტების კონცეფციაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქართული არქიტექტურისა და დიზაინის ჩვენების, ქართული სამზარეულოს და ქართული სტუმარმასპინძლობისა და ტრადიციების ელემენტების გაზიარებით, რაც პირდაპირ კავშირშია სტუმრებისთვის კულტურულად ავთენტური გამოცდილების შექმნასთან.

ქართული არქიტექტურული ელემენტებისა და დიზაინის ესთეტიკის ჩართვით, განთავსების ობიექტები ინარჩუნებენ და აღნიშნავენ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას.

ქართული არქიტექტურის უნიკალური ასპექტები, როგორიც არის ტრადიციული სამშენებლო მასალები, სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, გალავნები თუ ტრადიციული შენობები, მარნებთან ერთად ქმნის ავთენტურობის განცდას და სტუმრებს აწვდის ინფორმაციას ქვეყნის ისტორიული და კულტურული იდენტობის შესახებ. უფრო მეტიც, ქართული არქიტექტურული ელემენტების ინტეგრაცია აძლიერებს ობიექტების ვიზუალურ მიმზიდველობას და ქმნის ხანგრძლივ შთაბეჭდილებას სტუმრებისათვის.

ქართული კულტურის ინტეგრაცია განთავსების ობიექტების კონცეფციაში მრავალმხრივ ამდიდრებს სტუმრის გამოცდილებას. ქმნის ავთენტურ გარემოს, რომელიც საშუალებას აძლევს სტუმრებს დაუვიწყარი შთაბეჭდილება შეექმნათ საქართველოს ტურისტულ რესურსებსა და კულტურულ ღირებულებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი), 2011 (461-476)
2. მეტრეველი მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა 2011 (17-28)
3. ქართული კულტურა და ტრადიციები - ქართული სტუმართმოყვარეობა http://saqartvelo2016.blogspot.com/p/blog-page_8.html (გადამოწმდა: 15.02.2025)
4. უილ კოლდუელი. ევროპის საქალაქო ტურების 10 საუკეთესო ალტერნატივა“// „გარდიანი“, 2016
5. ბაუერსოქსი, დ., კლოსსი, დ. ჰელფერიკი, ო. ლოჯისტიკის მენეჯმენტი, მე-3 გამოცემა, ნიუ-იორკი: მაკმილლანის გამომცემლობა, 2009
6. ბულლი, ა., „მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკა“, ლონდონი, პიტმანის გამომცემლობა, 2001
7. ბურკარტი, ა., ტურიზმი: წარსული, აწმყო, მომავალი, ლონდონი, 2017
8. ჰოლოვეი, ჯ., რობინსონი, ჩ., ტურიზმის მარკეტინგი, ჰარლოუ, ლონგმანის გამომცემლობა, 2015
9. ევროპის მოგზაურობის კომისია, ევროპული ტურიზმი, 2017 - ტრენდები და პერსპექტივები (Q1/2017): http://www.etccorporate.org/research-intelligence
10. შავიანიძე დ. ქართული წეს-ტრადიციები და ეკონომიკა, 2013 (1-3)

REFERENCES:

1. Metreveli M. Tourism Business (Industry, Management, Marketing), 2011 (461-476)
2. Metreveli M. Tourism Economics and Policy 2011 (17-28)
3. Georgian Culture and Traditions - Georgian Hospitality http://saqartvelo2016.blogspot.com/p/blog-page_8.html (Retrieved: 15.06.2023)
4. Will Caldwell. 10 Best Alternatives to European City Tours"// "The Guardian", 2016
5. Bowersox, D., Kloss, D. Helferik, O. Logistics Management, third ed., New York: Macmillan, 2009
6. Bull, A., the Economics of Travel and Tourism, London, Pitman, 2001
7. Burkart, A., Tourism: Past, Present, Future, London, 2017
8. Holloway, J., Robinson, C., Tourism Marketing, Harlow, Longman, 2015
9. European Travel Commission, European Tourism, 2017 - Trends and Prospects (Q1/2017): http://www.etccorporate.org/research-intelligence
10. Shavianidze D. Georgian customs, traditions and economy, 2013 (1-3)

DEVELOPMENT OF ACCOMMODATION ARCHITECTURE AND DESIGN IN GEORGIA

Tamar Barnovi
PhD Student of GTU

Marina Metreveli
Professor of GTU
E-mail: metrevelimarina11@gtu.ge

Tornike Antidze
PhD Student of GTUP

RESUME

This paper examines the influence of Georgian culture on accommodation facilities, analyzing how cultural elements reflected in their architecture and design and how these aspects integrated into tourism as a key service industry.

For this study, three accommodation facilities were selected, each serving as a significant example of the interplay between cultural heritage and tourism infrastructure. These facilities not only showcase unique and engaging services that promote local culture but also emphasize one of the most prominent aspects of Georgian heritage - wine culture.

The primary objective of this paper is to highlight the impact of Georgian cultural traditions on the architectural and design features of accommodation facilities. This topic is relevant not only to Georgia but also to other countries seeking to incorporate cultural heritage into tourism and hospitality, particularly in accommodation services. By exploring the significance of Georgian cultural motifs, architectural styles, and historical landmarks, this study underscores the role of local heritage in creating memorable experiences for tourists.

Keywords: Georgian culture, tourism industry, accommodation facilities, architecture, wine culture.